სუფთა გარემო

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ სუფთა გარემოს მნიშვნელობას; ასევე იმას, თუ რა უნდა გააკეთონ, რომ გარემოში შეინარჩუნონ სისუფთავე.

აქტივობა 1: შესავალი

მასწავლებელი მოკლედ ხსნის - რას ნიშნავს სუფთა გარემო და რატომ არის ის მნიშვნელოვანი ადამიანისათვის.

იგი აჩვენებს სუფთა და დაბინძურებული გარემოს სურათებს და სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ კითხვებს:

- რა განსხვავებას ხედავთ ამ სურათებს შორის?
- რომელი გარემო უფრო სასიამოვნოდ გამოიყურება და რატომ?

მოსწავლეები აღწერენ სურათებს, ადარებენ და გამოაქვთ დასკვნები.

აქტივობა 2. გარემოს დაბინძურების მიზეზები

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს პოსტერებს, რომლებზეც გამოსახულია ნიადაგის, ჰაერისა და წყლის დაბინძურება. განიხილავს, რა იწვევს თითოეული ტიპის დაბინძურებას (ნარჩენები, მანქანების გამონაბოლქვი, ქარხნები და ა.შ.). შემდგომ მოსწავლეებს სთხოვს უპასუხონ კითხვებს:

- გინახავთ თუ არა დაბინძურებული გარემო?
- სად გაქვთ ნანახი ნარჩენები?
- როგორ ფიქრობთ, რა იწვევს ამ ნარჩენების წარმოქმნას?

- რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ გარემო სუფთა იყოს?
- როგორ შეგვიძლია, დავიცვათ მდინარეები და ტყეები ნარჩენებისგან?

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, მასწავლებელი აჯამებს აქტივობას.

აქტივობა 3. „სუფთა და დაბინძურებული“

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს ინსტრუქტაჟს: მოსწავლეებმა უნდა შექმნან ორი პლაკატი - ერთზე უნდა დახატონ, რა იწვევს გარემოს დაბინძურებას, მეორეზე კი - როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება. ჯგუფები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, იმართება დისკუსია.

აქტივობა 4. შეჯამება

მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფორმატს და სთხოვს მოსწავლეებს, შეიმუშაონ წესები თუ როგორ დაიცვან სისუფთავე საკლასო და სასკოლო გარემოში. მოსწავლეები ამზადებენ წესების ჩამონათვალს. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და კიდევ ერთხელ განმარტავს, რატომ არის მნიშვნელოვანი სუფთა გარემო ადამიანის ჯანმრთელობისთვის.